დანართი 6

დ ა მ ტ კ ი ც ე ბ უ ლ ი ა
ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს დადგენილება
2018 წლის 29 მაისი, № 47

# ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო

## მშენებლობის სანებართვო მოწმობა

სმ № 005446

1. ნებართვის გაცემის თარიღი: 23 ივნისი 2020 წელი

2. ნებართვა ძალაშია: 25 ივნისი 2025 წლამდე

3. მშენებლობის ნებართვის მფლობელი: შპს „ელიტ ჰაუსი" (ს/კ 445400888)

(სახელწოდება, საიდენტიფიკაციო მონაცემები (რეკვიზიტები), საკონტაქტო ინფორმაცია)

4. მშენებლობის ობიექტი: მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა

(დასახელება, ფუნქციური დანიშნულება)

ქ. ბათუმი, დასახლება ანგისა

(მისამართი)

05 32 12 243

(მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი)

5. მშენებლობის ობიექტის კლასი: IV

6. პროექტის ავტორი: ვ. ტაბატაძე

(სახელწოდება, საიდენტიფიკაციო მონაცემები (რეკვიზიტები). საკონტაქტო ინფორმაცია)

7. პროექტი შეთანხმებულია და ნებართვა გაიცა:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის მიერ

(ნებართვის გამცემი ორგანოს დასახელება)

8. ბრძანება: № 508 23 ივნისი 2020 წელი

9. შენობა-ნაგებობის მშენებლობის ის ეტაპები, რომელთა დასრულება საჭიროებს სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესაბამისი ორგანოს მიერ დათვალიერებას და სათანადო ოქმების გაფორმებას:

საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების

„მშენებლობის ნებართვის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ"

თანახმად

87(1)- ა), ბ)

88(1)-ა), ბ), გ), დ), ე), ვ), ზ), თ), კ), ლ)

10. მშენებლობის ობიექტის კლასის შესაბამისი სანებართვო პირობები:

11. ნებართვის გაცემაზე პასუხისმგებელი თანამდებობის პირი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი ან
მის მიერ უფლებამოსილი თანამდებობის პირი.

ლამა კომახიძე

(სახელი, გვარი და ხელმოწერა)

ბ.ა.

დამამზადებელი: შპს ქეჩერა
დამკვეთი: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია
სფს-ს რეგისტრაციის № 12-1877

# ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

ქ. ბათუმი

23/06/2020

508-25-4-202006231718

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 508

**არქიტექტურულ პროექტში ცვლილების შეტანის**

**და ახალი მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ**

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 53-59-ე, 63-ე მუხლებისა მუხლებისა და საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დაკმაყოფილდეს შპს "ელიტ ჰაუსი"-ს (ს/კ 445400888) 2020-06-11 განცხადება №10SDS01208OP01, დამტკიცდეს ქალაქ ბათუმში, დასახლება ანგისა/ქალაქ ბათუმში, დასახლება ანგისა/ქალაქ ბათუმში, დასახლება ანგისაში მდებარე 2121.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №05.32.12.243) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის მიზნით შპს "ელიტ ჰაუსი"-ს (ს/კ 445400888) სახელზე შეთანხმებულ 2019 წლის 31 დეკემბრის №1857 ბრძანებით შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტში ცვლილებები.

2. ალაქ ბათუმში, დასახლება ანგისა/ქალაქ ბათუმში, დასახლება ანგისა/ქალაქ ბათუმში, დასახლება ანგისაში მდებარე 2121.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №05.32.12.243) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის მიზნით შპს "ელიტ ჰაუსი"-ს (ს/კ 445400888) სახელზე გაიცეს ახალი მშენებლობის ნებართვა.

3. მშენებლობის ნებართვის მოქმედების ვადა განისაზღვროს 2025 წლის 25 ივნისამდე. გაცემული იქნას შესაბამისი სანებართვო მოწმობა და გატარდეს უწყებრივ სანებართვო რეესტრში.

4. ,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 87-89-ე მუხლების შესაბამისად, მშენებლობის მოსამზადებელი რიგის სამუშაოები და ეტაპები განისაზღვროს:

ა) I რიგი - შენებლობის განხორციელების მოსამზადებელი სამუშაოები:

ა.ა) მოსამზადებელი სამუშაოები, რომლებიც დაკავშირებულია სამშენებლო მოედნის მოწესრიგებასთან, მათ შორის, ამორტიზებული ან სხვა არსებული ნაგებობების დაშლასთან და სამშენებლო ნაგვის მოცილებასთან, შესანარჩუნებელი მწვანე ნარგავების დაცვასა და მიწისქვეშა საინჟინრო კომუნიკაციების გადატანასთან;

ა.ბ) შენობა-ნაგებობის გრუნტზე დაკვალვა და ძირითადი ღერძების დაფიქსირება;

ბ) II რიგი - მშენებლობის განხორციელების ძირითადი სამუშაოები:

ბ.ა) შენობა-ნაგებობების მიწის სამუშაოები;

ბ.ბ) შენობა-ნაგებობების ფუძის მოწყობის სამუშაოები;

ბ.გ) შენობა-ნაგებობების საძირკვლის მოწყობის სამუშაოები;

ბ.დ) ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა შენობა-ნაგებობის ნულოვან ნიშნულამდე;

ბ.ე) შენობა-ნაგებობის ნულოვანი ნიშნულიდან მაქსიმუმ ყოველ 7.0 მეტრ სიმაღლეზე (სართულების შემთხვევაში სართულების ჯერადად) ძირითადი კონსტრუქციული სისტემის (არამზიდი კონსტრუქციების გამოკლებით) მოწყობა;

ბ.ვ) შენობა-ნაგებობების სახურავისა და გადახურვის მოწყობა;

ბ.ზ) არამზიდი კონსტრუქციების მოწყობა;

ბ.თ) შენობა-ნაგებობების ლოკალური საერთო სარგებლობის საინჟინრო-კომუნალური ქსელების მოწყობა;

ბ.კ) შენობა-ნაგებობების გარე მოსაპირკეთებელი სამუშაოები;

ბ.ლ) კეთილმოწყობის სამუშაოები.

5. **განემარტოს შპს "ელიტ ჰაუსს" (ს/კ 445400888), რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 31 დეკემბრის N1857 ბრძანების მესამე პუნქტით დადგენილი პირობა, კერძოდ, შპს "ელიტჰაუსის" საკუთრებაში**

არსებული მიწის ნაკვეთის იმ ნაწილის ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტრის მერიის სასარგებლოდ სერვიტუტით დატვირთვა რომელიც მოქცეულია დამტკიცებული ახალი საპროექტო გზების არეალში, განახორციელოს წინამდებარე მშენებლობის ნებართვის გაცემიდან 3 თვის ვადაში, წინააღმდეგ შემთხვევაში გაცემული მშენებლობის ნებართვა გამოცხადდება ძალადაკარგულად. ამასთან გაცნობებთ, რომ აღნიშნულის თაობაზე განხორციელდება კონტროლი ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის მხრიდან და გთხოვთ, სერვიტუტის კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრაციის დამადასტურებელი უფლების დამდგენი დოკუმენტი რეგისტრაციიდან დაუყონებლივ წარმოადგინოთ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში.

6. წინამდებარე ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის. ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. № 30) მისი დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ლაშა კომახიძე

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი